ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7048985

ნომერი: AR11032677

თარიღი : 29.04.2024

გაცემის თარიღი : 28.05.2024

გაცნობის თარიღი : 31.05.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 3 , (ნაკვ.07/059) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 3 , (ნაკვ.07/049);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნუგზარ სულავა პ/ნ 01005030742
- თბილისი ფოთის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი იქნეს - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის დადგენილება N732 ტექნიკური რეგლამენტი -"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" -ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისად მომზადებული დეტალური გრაფიკული დოკუმენტაცია (ნახაზზე დატანილ და დაცულ იქნას სვლაგეზი, კარის ღიობებთან ორივე მხარეს, თავისუფალი სივრცეები, შშმ პირთა ტუალეტი ასევე მოყვანილ იქნას ნორმებთან შესაბამისობაში და წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დეტალიზაცია, ასევე წარმოსადგენია კარის სპეციფიკაციები და გაითვალისწინეთ 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში, ჩარჩოსა და ფრთის გამოკლებით კარის სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 820 მმ-ს).

2. ფოტომონტაჟიდან ამოღებულ იქნეს სარეკლამო აბრები, დატოვეთ მხოლოდ დროებითი შენობა-ნაგებობა. ასევე აბრის მოთხოვნა ამოღებულ იქნეს ნომენკლატურიდან, რისთვისაც გირთავთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკს.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.